საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები

მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლები (ძვ. წ. VI ს. _ ახ. წ. VIII ს.) მდ. რიონის მარცხ. ნაპირას, სოფ. მთისძირის სამხრ. ნაწილში, ვანიდან 8 *კმ*-ზე. ნამოსახლარები დადასტურებულია რამდენიმე გორაზე და მათ შორის მდებარე დაბლობზე. აღმოჩენილია მრავალნაირი კერამ. ნაწარმი, აგრეთვე კრამიტი და აგური, იმპორტ. (ატიკური, ქიოსური, სინოპური) კერამ. ნაწარმი და ქვევრსამარხების ნაშთები.

ამ ტერიტ-ზე განსაკუთრებით საყურადღებოა ორი პუნქტი: 1. წაბლა-ღელე, რ-ის შუა წელთანაც 1952 შემთხვევით აღმოჩნდა (ნ. ხოშტარია) მდიდრული სამარხის ნაშთი (ძვ. წ. V ს. ბოლო - IV ს.), რ-შიც ნაპოვნია ოქროს „სხივანა საყურე“, საკისრე რგოლი, ვერცხლის ყანწ-რიტონი (ვაც-კაცის გამოსახულებით), ბრინჯაოს ჭურჭელი, რკინის ლურსმანი და ადგილ. კერამიკის ნაშთები. 2. ადეიშვილების გორა, სადაც ზედა ტერასაზე 1974 გაითხარა (გ. გამყრელიძე) ძვ. წ. V-IV სს. სასიმაგრო ნაგებობების ნაშთი. მშენებლობაში გამოყენებული ყოფილა ქვა, ხის (თელა) ძელები და თიხამიწა. ნაგებობა ოთხკუთხაა და შედგება 2 სხვადასხვა ზომის (26,88 *მ*² და 13,44 *მ*²) სათავსისგან. გარე კედლების სიგანეა 2,80-2,60 *მ*, ხოლო შიდა კედლისა — 1 *მ*. ნაპოვნია ძვ. წ. V-IV სს. ადგილ. (კოლხური ქვევრები, დერგები, სასმისები), იმპორტ. კერამიკის ნაშთები, აგრეთვე ბრინჯაოს ზანზალაკი, ისრისპირი, 3 სალესი ქვა და ოსტეოლოგიური მასალა (ღორის ეშვი, ძროხისა და ცხენის ძვლები). ამგვარი ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობა დამახასიათებელია ძვ. წ. V-IV სს. კოლხეთისათვის. მისი დანგრევის დრო — ძვ. წ. 330 ± 40 წ. - განსაზღვრულია რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდით ადეიშვილების გორის თავზე აღმოჩნდა IV-III სს. ნაგებობა (საერთო ფართ. 145,75 მ³). საშენ მასალად გამოყენებულია ქვა, აგური, კრამიტი. კირხსნარს ხმარობდნენ კედლის შესალესად, შემაკავშირებლად და იატაკის მოსაჭიმად. ნანგრევებში ნაპოვნია ამავე პერიოდის კერამიკა.

მ. ა. ძ-ის მასალა ახლოს დგას ვანის, დაბლაგომის, დაფნარისა და კოლხეთის სხვა სინქრონიულ არქეოლ. ძეგლებთან.

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე გ., ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები (სოფ. მთისძირი), თბ., 1982; Х о ш т а р и а Н. В., Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1982 году, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1959. ტ. 2.

გ. გამყრელიძე